განმარტებითი ბარათი

„2015 წლის 5 თებერვლის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 4)“ N4 ცვლილების წერილ-შეთანხმების“ თაობაზე

საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) **შორის 2011 წლის 1 მარტს ხელი მოეწერა** საქართველოში 2011-2019 წლებში ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროექტების დასაფინანსებლად „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის“ (შემდგომში პროგრამა ან USIIP) დაფინანსების ჩარჩო **ხელშეკრულებას (FFA) 500 მილიონი აშშ დოლარის** ოდენობის სესხის გამოყოფის თაობაზე. ჩარჩო ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა იყოფა ტრანშებად და საქართველოს შესაძლებლობა აქვს ADB-თან შეთანხმების საფუძველზე, ყოველ ცალკეულ საინვესტიციო პროექტზე ბანკთან გააფორმოს სასესხო ხელშეკრულება.

პროგრამა ითვალისწინებს წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის გასაუმჯობესებლად პროექტების განხორციელებას ქვეყნის 7 ტურისტულ ცენტრსა და მსხვილ ურბანულ დასახლებაში (მესტია, ანაკლია, ქუთაისი, ფოთი, ურეკი,ზუგდიდი, მარნეული).

2016 წლის 15 ნოემბერს ხელმოწერილი FFA-ს ცვლილების შედეგად პროგრამას დაემატა: აბაშა, ბაკურიანი, გუდაური, ჯვარი, ჭიათურა, ბოლნისი. ამასთან აღნიშნული ცვლილებით განისაზღვრა FFA-ის ფარგლებში დასაფინანსებელ 7 საშუალო ზომის ქალაქზე დამატებით საქართველოს სხვადასხვა საშუალო ზომის ქალაქის დაფინანსების შესაძლებლობა, რომლებიც საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულია ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის შესაბამისად.

FFA-ის ფარგლებში საქართველოსა და ADB-ს შორის ამჟამად გამოყოფილი 6 პროექტი ჯამური ოდენობით დაახლოებით 500 მილიონი აშშ დოლარი.

მეოთხე პროექტი (108 მილიონი აშშ დოლარი) - შეთანხმებას ხელი მოეწერა 2015 წლის 5 თებერვალს. გათვალისწინებულია ქალაქ **ზუგდიდში** წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა და **ფოთში** კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები, მათ შორის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა; ასევე, **გუდაურსა და ჯვარში** წყალმომარაგების სამუშაოები.

ფინანსური პირობები:

OCR (Ordinary Capital Resources - ჩვეულებრივი კაპიტალური რესურსები)

სესხის თანხა: 108 მლნ აშშ დოლარი;

სესხის ხანგრძლივობა: 30 წელი, მათ შორის 7 წელი შეღავათიანი პერიოდი;

სესხის საპროცენტო განაკვეთი: LIBOR + 0.7% (2021 წლის 7 ივნისის მდგომარეობით 6 თვიანი LIBOR-ის განაკვეთი შეადგენს 0.16063 %);

ვალდებულების გადასახდელი (Commitment fee): წლიური 0.15% (ერიცხება სესხის აუთვისებელ ნაწილს)

მეოთხე პროექტის ფარგლებში აუთვისებელი სესხის თანხა: 38,042,740 აშშ დოლარი.

პროექტი მიმდინარეობს.

ამჟამად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ (MRDI) საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის (კომპანია ან UWSCG) თხოვნის საფუძველზე მომართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის” (USIIP) დაფინანსების ჩარჩო ხელშეკრულების (FFA) ხელმისაწვდომობის პერიოდის და ასევე, FFA-ის ფარგლებში გაფორმებული პროექტების სესხების დახურვის თარიღების 3 წლით, 2024 წლის 29 მარტამდე გაგრძელებასთან დაკავშირებით ADB-თან შუამდგომლობის თხოვნით.

USIIP-ის დაფინანსების ჩარჩო ხელშეკრულების (FFA) ხელმისაწვდომობის პერიოდის დასრულების საბოლოო ვადა იყო 2021 წლის 29 მარტი. თუმცა, UWSCG-ის ინფორმაციით დღეის მდგომარეობით კონკრეტული პროექტები 2021 წლის 29 მარტამდე ვერ დასრულდა. პროექტების შეფერხება და დაგვიანება ძირითადად გამოწვეულია დეტალური პროექტების დოკუმენტებში არსებული ხარვეზებით, ცვლილებებით, კონტრაქტორების არაეფექტიანი მუშაობითა და სამუშაოების დაბალი პროგრესით. გარდა ამისა, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მსოფლიოსა და საქართველოში

გავრცელების გამო პროექტების განხორციელება კიდევ უფრო შეფერხდა, რაც მათ პროგრესსა და მშენებლობის დასრულების ვადებზეც აისახა. საზღვრების ჩაკეტვა და დაწესებული შეზღუდვები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, უარყოფითად აისახა პროექტების განხორციელებასა და არსებულ ვადებში წარმატებით დასრულებაზე. ზემოაღნიშნული შეუძლებელს ხდის მიმდინარე პროექტების მნიშვნელოვანი ნაწილის 2021 წლის 29 მარტამდე დასრულებას.

ამასთან, სახელმწიფო საკუთარი რესურსებით ვერ შეძლებს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში პროექტების დაფინანსებასა და დასრულებას, რაც უარყოფითად აისახება საქართველოს მოსახლეობაზე, ვინაიდან წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებებზე წვდომა უმნიშვნელოვანესია ქვეყნის თითოეული მოქალაქისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, MRDI-ის და კომპანიას მიზანშეწონილად მიაჩნიათ, რომ USIIP-ის პროექტი 4 გაგრძელდეს დამატებით 3 წლის ვადით დაწყებული პროექტების წარმატებით დასასრულებლად.

ამასთან, აღნიშნული ცვლილება ეხება UWSCG-ის საოპერაციო კოეფინიენტს, რომელიც უნდა გაუტოლდეს 1-ს 2023 წლის ბოლომდე და შემდგომ უნდა შენარჩუნდეს იგი 1-ზე ნაკლები.

USIIP პროექტი 1 და პროექტი 2 2021 წლის 29 მარტს დაიხურა.

2021 წლის 14 მაისის საქართველოს მთავრობის #788 განკარგულების და პრემიერ მინისტრის #194 ბრძანების საფუძველზე, 2015 წლის 5 თებერვლის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 4)“ N4 ცვლილების წერილ-შეთანხმებას ხელი მოეწერა 2021 წლის 8 ივნისს. საქართველოს მხრიდან ხელს აწერს ფინანსთა მინისტრი, ლაშა ხუციშვილი, ხოლო ADB-ის მხრიდან ცენტრალური და დასავლეთ აზიის გენერალური დირექტორი, ევგენი ჟუკოვი.